**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



## ქ. გორი,

ახლად აშენებულს თეატრში ტფილისის ქართულის დასის არტისტები გამართავენ ორს წარმოდგენას.

კვირას, 19 ივნისს,
წარმოდგენილი იქნება:

I
**ციმბირელი**
კომედ. 4 მოქმ., თხზ. ა. ცაგარლისა.

II
დივერტისმენტი

ორშაბათს, 20 ივნისს,
წარმოდგენილი იქნება:

I
ეხლანდელი სიყვარული
კომედ. 4 მოქმ., გადმოკ. ვ. აბაშიძის მიერ.

II
**ბაიყუში**
ფარსი 2 მოქმ., ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, თამაროვისა; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, ავქ. ცაგარელი, მაქსიმიძე, ი. ცაგარელი, კავთელი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

გაზ. „თეატრის" რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ქ. ტფილისში მცხოვრებთ ხელის-მომწერთ აცნობონ რედაქციას თავიანთი ნამდვილი ადრესები, რადგან გაზეთი „თეატრი" დღეის იქით გაეგზავნებათ ქალაქის ფოსტით. (2—2)


ტფილისი, 15 ივნისი

დიდი ხანია, რაც ევროპის პოლიტიკის სათავეში ჩადგა გერმანია და მთელი ევროპის ყურადღება მიპყრობილია ბერლინისაკენ, მაგრამ, ვგონებთ, ეს ყურადღება ისე ძლიერი არასოდეს არა ყოფილა, როგორც ამ ოთხიოდე თვის განმავლობაში, როცა გერმანიამ დაასაფლავა ორი იმპერატორი, სხვა-და-სხვა მიმართულების მიმდევარნი, და როცა ისტორიამ გერმანიის სვე-ბედი არგუნა ახალს და ახალგაზრდა იმპერატორს ვილჰელმს მეორეს. ეს ყურადღება იმდენად ძლიერია, რომ ევროპა ლოდინით სრულიად დაიქანცა და ღამის გულის ფრიალი აუვარდეს პოლიტიკურის მდგომარეობის გამოურკვევლობისა გამო. მთელმა ევროპამ იცის, რომ დღეს თუ ხვალ ისეთი რამ ამბავი უნდა მოხდეს, რომელმაც ავად თუ კარგად უნდა გადასწყვიტოს ევროპის თავ-გადასავალი. ყველამ უწყის, რომ დიდი ხანია, რაც ის ნასკვი გამოიკვანძა, რომელიც ევროპამ ბერლინში უნდა გამოხსნას; ყველამ იცის, რომ ეს საქმე მეტად რთული და საშიშია, მაგრამ არც ის ავიწყდებათ, რომ ევროპა, ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერსად წაუვა ანდერძს ისტორიისას; რომ, ადრე თუ გვიან, ევროპამ ანგარიში უნდა გაუწიოს ძველის პოლიტიკის მიმართულებას. ჯერ კიდევ ვილჰელმ პირველის მეფობის უკანასკნელს ხანებში ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობა მეტად გამწვავებული იყო და საქმის გადასაწყვეტად სახელმწიფონი კინაღამ ბრძოლის ველზედ არ გამოვიდნენ. ვილჰელმისავე დროს შესდგა სამთა სახელმწიფოთა კავშირი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ევროპის ბედი და უბედობა. მაშინ საპოლიტიკო საქმეთა მსვლელობა მეტად ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა წინ და ევროპა დღე-დღეზე მოელოდა სისხლის ღვრას, თუმცა სახელმწიფონი ერთ-ხმად გაიძახოდნენ, რომ ევროპას მშვიდობიანობა უნდა დავუმკვიდროთ და ომიანობა არავისათვის არ არის სასურველიო.

მაგრამ გარდაიცვალა თუ არა მოხუცი ვილჰელმი, საქმე სხვა რიგად დატრიალდა, სამეფო ტახტზე ავიდა ფრიდრიხ მესამე, გულწრფელი და ერთგული მოსარჩლე მშვიდობიანობისა. მართლაც-და სასიკვდილოდ განწირულმა ფრიდრიხმა, რომელსაც დიდი ხანია ფეხი სამარეში ედგა, უარ-ჰყო წინანდელი თავ-გასული, დაურიდებელი პოლიტიკა ბისმარკისა და საქვეყნოდ აღიარა, რომ მშვიდობიანობა და ერის უფლებათა პატივისცემა ბურჯი და საძირკველია ადამიანთა კეთილდღეობისაო. როცა ფრიდრიხი გერმანიისათვის არაჩვეულებრივს პოლიტიკას დაადგა, მშვიდობიანობის მომხრეთა და მოსარჩლეთა ცოტაოდენი იმედი მიეცათ და ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა დღე-მოკლეობა ახალის იმპერატორისა ეჭვს გარეშე იყო. ფრიდრიხის მხნეობამ და სიმტკიცემ თვით შეუპოვარი და ყოვლად შემძლე ბისმარკიც-კი დააფიქრა და დაანაღვლიანა და, ვგონებთ, ფრიდრიხის ხან-მოკლე მეფობის დროს ბისმარკმა პირველად აიღო ეჭვი თავისს ძლიერებაზე. მაგრამ ამ გვარს მიმდინარეობას საქმისას ბოლო მოუღო მძიმემ, უძლეველმა სენმა ფრიდრიხისამ. ოთხმოც-და-ცხრამეტის დღის მეფობის შემდეგ ფრიდრიხიც გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა სიცოცხლით და მხნეობით სავსე, სულით და ხორცით ჯანმრთელი ჭაბუკი — ვილჰელმ მეორე.

ამ ამბავმა კიდევ უფრო შეიპყრო ევროპის ყურადღება და ეხლა ყველანი იმას კითხულობენ, თუ რას მოუტანს გერმანიას და ევროპას ახალი იმპერატორი, საითკენ გამოაბამს ყურს ევროპის პოლიტიკას, რა აზრისა და მიმართულების კაციაო? ყველანი ელოდებიან იმ დროს, როცა გამოირკვევა ვილჰელმის პოლიტიკა. ვილჰელმი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია და ნამდვილად არავინ იცის, რაოდენს პოლიტიკურს გამჭრიახობას, შორს-მჭვრეტელობას და გამბედაობას გამოიჩენს. რამდენადაც გამორკვეული და ცნობილი იყო ფრიდრიხ მესამის წარსული და ცხოვრება, იმდენად გამოურკვეველი და უცნობია ვილჰელმისა.

სანამ ფრიდრიხი ტახტზე ავიდოდა, ყველას გაზომილი ჰქონდა იმისი ძალ-ღონე; ყველა იცნობდა იმას, ვითარცა წარჩინებულს სარდალს, მაგრამ ომიანობის მოწინააღმდეგეს, კონსტიტუციისა და მშვიდობიანობის მოსარჩლეს. იმის შვილს ვილჰელმს-კი ჯერ-ჯერობით დრო და საშუალება არა ჰქონია თავისი ძალ-ღონე ეჩვენებინა ქვეყნისათვის ან ბრძოლის ველზე, ან შინაურს, თუ გარეშე პოლიტიკაში. ერთი-და ვიცით დაბეჯითებით, რომ იგი მხედრობის მოყვარულია და ბისმარკის პოლიტიკის მომხრე. ფრიდრიხმა, როცა ტახტზე ავიდა, საქვეყნოდ აღიარა თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა და ზრდილობიანად გაჰკიცხა ბისმარკისა. ვილჰელმმა-კი ჯერ მიჰმართა გერმანიის ჯარს და მერე ერსა, მაგრამ იმის ნამდვილის აზრის ამოკითხვა მანიფესტიდგან დიდად საძნელო საქმეა. ვილჰელმი ამბობს საქვეყნოდ, რომ მხედრობა არის საძირკველი გერმანიის ძლიერებისაო; რომ მე პაპიჩემის და მამიჩემის გზა-კვალს არ დავაგდებო. როგორც მკითხველი ჰხედავს, ამ სიტყვებიდგან ძნელად გამოსაცნობია, თუ რა გზას დაადგება ახალი იმპერატორი — პაპისას, თუ მამისას.

აი, ის საკითხავი, რომელზედაც დღეს თავს იმტვრევენ ევროპის ჟურნალ-გაზეთები. ზოგი ხმა-მაღლად ამბობს, რომ ვილჰელმი დაადგება თავისის პაპისა და ბისმარკის პოლიტიკასაო; ზოგნი-კი იმ აზრისანი არიან, რომ შეუძლებელი საქმეა ახალმა იმპერატორმა ანგარიში არ გაუწიოს თავისის მამის ანდერძს და მიმართულებასა, რომელმაც დღეის იქით საპატიო ადგილი დაიჭირა გერმანიის საზოგადოებაშიო. აბა ვნახოთ, დრო რას მოგვიტანს და ვის წინასწარმეტყველებას გაამართლებს.

# ფელეტონი

## ანტონია გეზარეცი

მოთხრობა მექსიკელთა ცხოვრებიდამ

ლიუსიენ ბიარასი *)

— გმადლობთ! — წამოიძახა დონ კარლოსმა და მაგრად ჩამომართვა ორივე ხელი — ეგ სიტყვები ჩემთვის მეტად ძვირფასია, რადგან ვიცი, რომ წმინდის გულით მეუბნები. ხოლო მე მინდა, რომ ამ ქორწინების ყოველივე წვრილი, სულ უბრალო, უმნიშვნელო გარემოებაც-კი, იცოდე და შენთან დაფარული არა იყოს-რა. თუმცა მეტას-მეტად მიყვარდა ანტონია, მაინც არ მინდოდა, რომ სხვისის რჩევით და გავლენით, ან ბრძანებით დამყოლიებინა. განსაკუთრებით ის არა მსურდა, რომ ჩემგან დავალებულს ანტონიას უარის თქმა ვერ შესძლებოდა, თუ არ მოვეწონდი, რადგან იმის დედის წინაშე ცოტაოდე სამსახური მიმიძღვის. აი, სწორედ ამიტომ მე თვითონ დავუწყე ლაპარაკი ანტონიას ჩემს სურვილსა და იმედზე. პირველში საცოდავი ქალი კანკალებდა და ბოლოს-კი ისეთი ქვითინი დაიწყო, რომ სრულიად დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მექნა და საით გავქცეულიყავი. დავუწყე დამშვიდება, რომ თუ გინდა, მომთხოვდები, თუ არა-და, არა, მე ძალას ვერ დაგატან, შენს ნებაზეა დამოკიდებული-მეთქი. ამ დროს მომეხვია და დარცხვენით მითხრა, რომ მაგ სიტყვებით დიდის ხნის ნატვრა და გულის წადილი შემისრულეო. ეს სიტყვები ისე ალერსიანად მითხრა, ისე გულ-წრფელად, რომ მე იქვე წამომერია ცრემლები და იმასთან ერთად ტირილი დავიწყე... ოჰ, ექიმო, მე ისეთი ბედნიერი ვარ, ისეთი, რომ შემიძლიან ეხლა, ამ წუთსაც-კი ვიტირო.

დონ კარლოსმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ამ მოულოდნელმა გარემოებამ ცოტა არ იყოს შემშალა და გონება დამიბნია. მაგრამ ყოველივე ადრევე მქონდა მოფიქრებული და მოსაზრებული და ჩემს თავს არც ვუღალატე. ჩემო კარგო, — ვუთხარ ანტონიას: — ნუ აჩქარდები, ერთს კვირას გაძლევ ვადად. კარგად მოიფიქრე ყოველივე, გამოიკითხე, გამოიწვრილე ეს საქმე და ისე არჩიე. რომ ძალიან მიყვარხარ, ამას ჩემი ცრემლებიც ამტკიცებს, ხოლო თუ იპოვება ისეთი კაცი, რომელიც ჩემზე მეტად მოგწონს, ან თუ სიტყვა გაქვს ვისმესთვის მიცემული, ნუ დამიფარავ. სხვის ვისიმე ცოლობას რომ არჩევდე და მე-კი ხათრით უარი ვერ მითხრა, ძალიან მაწყენინებ და გამაუბედურებ. რა გზასაც უნდა დაადგე, საითკენაც უნდა გაგიწიოს გულმა, მე მაინც კიდევ შენი მეგობარი ვიქმნები, ისეთივე ერთგული მფარველი, როგორიც ვიყავი ჩემის ლეიძლის ქალიშვილისა, რომელიც მყვანდა ოდესღაც და უფალმა თავისთან მიიწოდა.

— აი, ეგ კარგად გითქვამს, — წამოვიძახე აღელვებულმა: — ვიცოდი-და, რომ გონიერი კაცი ხარ და ურიგოდ საქმეს არ დაიჭერ. მერე რა პასუხი მოგცა.

— პასუხი ისეთი მომცა, ექიმო, როგორიც გულითაც მინდოდა და როგორსაც მოველოდი კიდეც. აი, პირდაპირ ანტონიასაგან შენთან მოვდივარ და გთხოვ, რომ ბედნიერს ადამიანს მეჯვარეობაზე უარს ნუ მეტყვი.

— მერე იმდენად ბედნიერს, რომ მიწის-ძირასაც-კი ველარა ჰგრძნობს-მეთქი, — დავუმატე სიცილით.

— ან საიდგან უნდა მეგრძნო, ექიმო, როცა ჩემი თავი სამოთხეში მგონია? ანტონია, მე რომ მკითხოთ, ყველაზედ ლამაზ ქალად მიმაჩნია მთელს ორიზაბეში, იმ ორიზაბეში, რომელსაც ლამაზისა და მშვენიერის ქალებით ყველგან თავი მოაქვს.

— მართო თქვენ-კი არ მიგაჩნიათ, ჩემო მეგობარო, მთელი ქალაქიც მაგ აზრისაა, და კიდეც ეგ არის..

ენაზედ ვიკბინე და ხმა ჩავიწყვიტე. დონ კარლოსი დამაცქერდა.

— გამიგონე, ექიმო. შენ არჩევანი მომიწონე, მართალია, მაგრამ თავიდგან კუჭებამდე ისე გიცნობ, როგორც ჩემს ხუთს თითს, და ამიტომ ვხედავ, აშკარადა ვხედავ, ვგრძნობ, რომ კიდევ რაღაცა გაქვს სათქმელი და მიმალავ-კი. სთქვი. კარგი რჩევა და დარიგება ყოველთვის კარგია, მაშინაც-კი, როცა არავინ არ შეისმენს ხოლმე.

მე ჩუმად ვიჯექი და ვფურცლავდი ხელ-ნაწერს, ხმა, კრინტი არ ამომიღია.

— მიგიხვდი, — დაიწყო კვლავ ჩემმა სტუმარმა: — ჩემი წლოვანება გაწუხებს და გაბრკოლებს განა?

— განსაკუთრებით ანტონიას წლოვანება-მეთქი, — ვუპასუხე და გულზედ მომეშვა, თითქოს ლოდი ამაცილესო.

მთელმა წუთმა გაიარა და ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია. დონ კარლოსი ისე იყო აღელვებული, რომ ვინანე კიდეც, რად ჩამოვუგდე-მეთქი წლოვანებაზედ საუბარი. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ჩემს სიტყვებს უკანვე დავიბრუნებდი.

— მაგ სიტყვებით შენ ჭეშმარიტად დამიმტკიცე მეგობრობა, ექიმო, და დიდადა გმადლობ, რომ მაგის თქმა არ გაგიჭირდა, თავაზიანობამ არ შეგაკავა, — დაიწყო ჩემმა ძვირფასმა სტუმარმა. — მეც მივმართე ჩემს თავს მაგ სიტყვებით, იმიტომ-რომ თუმცა ძალიან და გაგიჟებით მიყვარს ანტონია, მაინც ჭკუა-გონება ჯერ სრულიად არ დამიკარგავს. დიახ, მეც დავეკითხე ჩემს თავს, და დავეკითხე სწორედ მაგ სიტყვებით, ჩემი და ანტონიას წლოვანება მქონდა სახეში; ამ მხრივ ის უფრო მებრალებოდა, ვიდრე ჩემი თავი. ჯერ კიდევ არა მიჭირს-რა, მაგრამ ერთი თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მოვხუცდები, დავბერდები. ხოლო მაშინ ანტონიაც ის აღარ იქმნება, რაც ეხლა არის. თქვენ თითონ არა ერთხელ მიგიქცევიათ ჩემი ყურადღება იმ გარემოებისათვის, რომ ჩვენში ქალები ადრე იფურჩქნებიან, ხოლო ადრევე სჭკნებიანო.

მართალია, მითქვამს იმისთვის ეს სიტყვები და ეხლაც განვიმეორებ. მოხერხებულმა ვექილმა, — ვექილი

*) იხ. „ივერია" № 121.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 16-ს ივნისს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, ეგზარხოსი საქართველოისა პალლადი, წაბრძანდება კახეთში. ეგზარხოსი, როგორც ამბობენ, სხვათა შორის დაათვალიერებს ალავერდის სობოროსაც და წმ. ნინოს მონასტერსა.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომავალ წლიდგან ტფილისის სემინარიაში ზოგიერთი საგულისხმო ცვლილება უნდა მოახდინონ. მაგალითად, უფროსს კლასებში უნდა შემოიღონ საეკკლესიო მხატვრობისა და ექიმობის სწავლება. აგრეთვე ისევე უნდა შემოიღონ ფილოსოფიის სწავლება, რომელიც ამ სამიოდე წლის წინად გააუქმეს.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ „მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას“ განზრახვა აქვს გამართოს ორმოც-და-ათამდე სამრევლო სკოლები. ეს „საზოგადოება“ ამ საქმეს ენკენისთთვიდგან შეუდგება.

*** ორშაბათს, 13-ს ივნისს, დანიშნული კრება ქალაქის საბჭოსი ვერ შესდგა, რადგან ავჭალაში წასვლით დაღალული წევრები ვერ შეიკრიბნენ თურმე და ოთხის მეტი არავინ მივიდა საბჭოს დარბაზში დანიშნულს დროს.

*** გუშინ-წინ, 14 ივნისს, სამოსამართლო პალატამ განიხილა ხოსროევის დამცველის ნაფიც მსაჯულის შევალიეს საჩივარი, რომ ვიდრე ხოსროევის საქმე საბოლოვოდ გარდასწყდებოდეს, გაანთავისუფლეთ დამნაშავე საპატიმროდგან თავდებობითაო. შევალიე ამბობდა, რომ ხოსროევი ჯერ კიდევ ისევ და ის ხოსროევია, რადგან მირიმანოვის სახლი დაწვის საქმე სამოსამართლო პალატამაც უნდა გაარჩიოს, და რომ ხოსროევისა არც ოჯახობრივი, არც საზოგადოებრივი და არც ქონებრივი მდგომარეობა არ შეცვლილაო. პროკურორის ამხანაგმა სტალინსკიმ უპასუხა, რომ ტყუილია ეგ თქმულება, ვითომ ხოსროევის მდგომარეობა ისევ ისეთივე იყოს, როგორიც უწინ იყოვო. საზოგადოებაში ეხლა ყველა დარწმუნებულია ხოსროევის დანაშაულში. იმ ადვილს, რომელიც ეჭირა აქამდე ბრალდებულს, ველარ დაიჭერს.

პალატამ ათის წუთის ბჭობის შემდეგ გარდასწყვიტა, რომ ნაფიც ვექილის შევალიეს საჩივარი უარ-ყოფილ იქმნას და დამნაშავე არას გზით არ განთავისუფლდეს პატიმრობისაგანაო.

*** სოფ. ქვემო მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). რომ იტყვიან „ქრისტე ღმერთმა თავის უხვების კალთა ქვეყანას დააბერტყაო“, სწორედ ამ ჩვენს წინა მხარზეა ნათქვამი. ყველა ჭირნახულები უხვად მოდის; ვენახებსაც კარგად ასხია, ქერის მკა უკვე გაათავეს და მიჰყვეს ხელი ყანების მკასაც. რაკი დაიწყეს მკა, ყველა მეოჯახე, ვისაც-კი მოეპოვება ორიოდ დღის სახნავი, ოჯახობით კალოებზედ წავიდნენ (კალოები 15 ვერსტის სიშორეზეა). მამაკაცნი მკიან ჭირნახულებს და დედაკაცნი შეუდგნენ ლეწვას, თუმცა-კი ავდრები ხელს უშლის. შეიტყვეს თუ არა ჩვენმა კევ ნემსებით გამდიდრებულმა ვაჭრებმა — ჩვენი მსხვერპლნი შესდგომიან ლეწვასაო, — იწყეს იმათაც მზადება წასასვლელად კალოებზედ, რომ გამოაცალონ გლეხებს ხელიდგან სარჩო-საბადებელი თავიანთ კევ-ნემსებით. მოამზადეს თვრამეტ-ოც გირვანქიანი ლიტრები, მხოლოდ დაფარულად, რადგანაც პირობის ძალით სხვა ზომის საწყაო აქვთ დანიშნული, მაგრამ მათმა მზადებამ უნაყოფოდ ჩაიარა. მამასახლისმა შეჰკრიბა ერთ დღეს მოვაჭრეები და გამოუცხადა რომ ის საწყაო უნდა იქონიოთ, რომელიც მე თვითონ გამოგიწყეთ; ამასთანავე კალოებზედ არ წახვიდეთ და არ ივაჭროთო. ძრიელ უკმაყოფილონი დარჩნენ ამის გამო მოვაჭრენი, მით უმეტეს, რომ ელოდებოდნენ ზაფხულს და დარჩომილი უვარგისი საქონელი უნდა გაესაღებინათ კალოებზედ. მამასახლისმა ურჩია საზოგადოებას, რომ პირდაპირ მიჰმართონ მოვაჭრე ოთაროვს (დედოფლის წყაროზედ) და იმასთან დაიწყონ ქერისა და ხორბლის ვაჭრობა.

*** სოფ. ბოდბის ხევში (სიღნაღის მაზრა) მოხდა შემდეგი უბედურება: 27 მაისს პეტრე გულაშვილი მუშაობდა ვენახში; დააკლდა საყელავი და რომ ცუდად არ გაეტარებინა დრო, ავიდა ფურცელზედ მზრალის ასაყრელად, გადმოვარდა ფურცლიდგან და დაეცა მარგილზედ. მარგილის წვერი მარცხენა გვერდში შეერჭო და მარცხენა მხარში გაუარა. უბედური მეორე დღეს გარდაიცვალა.

*** ქუთაისი: ყველა სასწავლებლებში გათავდა ეგზამენები, ყველგან განათავისუფლეს მოსწავლეები და ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში-კი ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ ეგზამენები. წარმოიდგინეთ პატარა ყმაწვილები, პირველ მოსამზადებელის კლასის ბავშვები, რომელნიც ჯერ ისევ კლასში დაიარებიან და გაკვეთს ამზადებენ.

*** გურია: დაბა ლანჩხუთის ახალი სასკოლო შენობა უკვე დაუმთავრებიათ. ლანჩხუთში კარგა ხანია სკოლა არსებობს, მაგრამ აქამდე რიგიანი შენობა არა გვქონდა. შენობის გარდა, თვით სკოლის საქმეც კარგად არ იყო მოწყობილი. მასწავლებელს ცოტა ჯამაგირი ეძლეოდა და მკირე ჯამაგირიანი მასწავლებელი და მერე ისიც მოუწყობელს სასკოლო შენობაში ბევრს ვერას გააკეთებდა. ახლა-კი, ღვთის მადლით, კარგი და ლაზათიანი შენობა გვაქვს, მასწავლებელსაც ჯამაგირი მეტი ეძლევა და იმედია, სასკოლო საქმე ბევრად უკეთ წავა ჩვენში, ვიდრე აქამდე იყო. ახლა-კი, ვგონებთ, აღარ გვისაყვედურებენ და აღარ იტყვიან, რომ ლანჩხუთი ასეთი დიდი სოფელია, შეძლებული ხალხი ახვევია და აქამდე ერთი სკოლაც ვერ მოუწყვიათ კარგადაო. ლანჩხუთელები ამბობენ, რომ ჩვენ კარგად გვესმის ყველა სასიკეთო და დიდი საქმე, მხოლოდ საჭიროა თაოსანი კაცები გამოგვიჩნდნენ და ჩვენ არაფერში უკან არ დავიხევთ და არავის არ ჩამოვრჩებითო. ღმერთმა ჰქმნას! კარგსა და კეთილს საქმეში ჯიბრი და მოცილეობა ფრიად სასარგებლო საქმეა და კეთილს ნაყოფსაც გამოიღებს.

*** ივნისის 6-ს გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი აბდულ ეფენდი მიქელაძე: ამ დღეებში აჭარაში ძლიერი სიცხეები და ყორაღი არის. ამ ყორაღის გამო ხალხს ყანები დაუთესავი დაურჩა. ფუღარა (გლეხი) ძლიერ შეწუხებული არის და მუდამ დღეს ღმერთს წვიმასა სთხოვს. ეს სიცხე ხეხილს სულ გააფუჭებს.

*** ქ. ახალ-ბაიაზეთი: ძლივს ეღირსა კურთხევა ჩვენს ეკკლესიას. მეორე წელიწადია, რაც ეკკლესია მზად არის, და აქამდის-კი ვერ აკურთხეს. ჯერ შარშან მაისში სთქვეს, უნდა ვაკურთხებინოთო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ველარ აკურთხეს. შარშან გიორგობისთვეშიაც დააპირეს და ვერც მაშინ მოუხდათ. წელს 8 მაისს-კი ნამდვილად უნდა ეკურთხებინათ, მაგრამ ახალმა მაზრის უფროსმა შეაყენა ეს საქმე, იმიტომ, რომ ტფილისში წავიდა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის მოსაწვევად ეკკლესიის კურთხევაზედ. მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ძლიერ ნდომებია წამობრძანება ჩვენსკენ, მაგრამ სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო ველარ წამობრძანებულა და თავის მაგივრად დაენიშნა არხიმანდრიტი მ. ნიკოლოზი, რომელიც აქ მოვიდა ამ თთვის 4-ს. შაბათს საღამოს ფაიტონით წავიდნენ არხიმანდრიტ ნიკოლოზის მისაგებებლად მაზრის უფროსი, ადგილობრივი მღვდელი, სამაზრო მსაჯული, ქალაქის დეპუტატი, ბოქაული, ყაზახები და ჩაფრები და მიეგებნენ ქალაქ გარეთ თითქმის 8 ვერსტის მანძილზედ. ოთხის ნახევარზედ შემოვიდნენ ქალაქში. იმ საღამოს ილოცეს და მეორე დღეს, კვირას, ეკკლესია აკურთხეს.

კვირა დღეს ქალაქის უმთავრესი ქუჩები და ბაღი, რომლის მახლობლად აშენებულია ახალი ეკკლესია, ბაირაღებით იყო მორთული. კურთხევა დაიწყეს დილის 9 საათზე და წირვა გათავდა პირველზედ.

ეკკლესია აშენებულია მიხეილ მთავარ-ანგელოზის სახელობაზედ და რუსულს გეგმაზე. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. იმ დღესვე ქალაქმა სადილი გამართა.

*** 14 ივნისს, საღამოს 9 საათზედ, ტფილისის მაზრაში, მეტეხის ციხის იქიდგან, გზაზედ იპოვნეს მოკლული გვამი აზნაურის ივანე იაკობის ძის გაბაშვილისა, რომელიც სოფ. მარაბდიდგან ტფილისში მოდიოდა. ამბობენ, რომ გაბაშვილის გაცარცვა სდომებიათ და იმიტომ მოუკლავთო.

*** 14 ივნისს პოლიციის მე-5 ნაწილში სიღნაღის მოქალაქემ, გიორგი გიორგის ძემ ტერიელოვმა თავის მოკვლა მოიწადინა და აზოტის სიმჟავე დალია. პირველში მოწამლულს შინაურულის საშვალებით მისცეს შეწევნა, ხოლო შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

*** 14 ივნისსავე პოლიციის წევრებმა ქალაქის ექიმის სედლოვსკის თანადასწრე-

---

იყო დონ კარლოსი, — გამოიყენა ეს ამბავი და დამიწყო რწმუნება. ბაასის დასასრულს ორივენი კმაყოფილნი დავრჩით. მე მადრიელი ვიყავი ჩემის თავისა, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე და შევძახე „გაფრთხილდი!“-მეთქი, დონ კარლოსს-კი ის უხაროდა, რომ დავარწმუნეო. ხოლო რწმუნებით-კი ნახევრად, ცოტადი დამარწმუნა. მე მაინც საშიშად და საფრთხილოდ მიმაჩნდა გაზაფხულისა და ზამთრის შეკავშირება, მაგრამ ამ შიშის ამოჩემება და განმეორება არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო. დონ კარლოსის წასვლის შემდეგ ისევ ფრანცისკანელის კითხვას უნდა შევსდგომოდი, მაგრამ თავში სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა. თვალ-წინ მიდგა ანტონიას სახე. მეტად, არაჩვეულებრივად ლამაზი და მშვენიერი იყო ეს ქალი, ცოცხალი შავგვრემანი პირი-სახე ჰქონდა და წერწეტა ტანი. მშვენიერი შავი თმები და დიდრონი თვალები ადამიანს ცნობას მისტაცებდნენ. ამ თვალებში გამოიხატებოდა მთელი იმისი სული და გული; ხან დაფიქრებული ჰქონდა, ხან მოცინარი და მხიარული, ხან ცეცხლივით ალგზნებული. შემდეგში, როცა სიყვარულს იგრძნობდა იმისი გული, ეს თვალები მეტად, მეტად საშიშარი უნდა ყოფილიყო. ძალიან მიყვარდა ეს მომხიბლავი, ჩემს ხელში დაბადებული და გაფურჩქვნილი ყვავილი. ეჭვიც არ შემიტანია, რომ დონ კარლოსს ეცრუვნოს, ვითომ თითონ ანტონიამ მოიწადინა ჩვენი შეკავშირება და შეერთებაო. თქმა არ უნდოდა, ყმაწვილს ქალს ჯერ ვერ გაერჩია თავისს გულში გრძნობა მეგობრობისა და სიყვარულისა, იგი ბავშვი იყო, ბავშვი ნაზისა და მოსიყვარულე გულით, ხოლო გაივლიდა დრო, ერთი წელი მეორეს გაჰყვებოდა და ეს მგრძნობიარე არსება სიყვარულს რომ შეეპყრო, მაშინ? მაშინ რა იქნებოდა? როგორ დაიტანჯებოდა, როგორ იფეთქებდა გრძნობა, გრძნობა იმ არსებასი, რომელიც სამუდამოდ შეკავშირებული იქნებოდა მოხუცთან?!. მე ჩემდა უნებურად თვალ-წინ მიდგა საშინელი მოვლენა ბუნებისა ხორულოში.

ბოლოს მწუხარე ფიქრნი მოვიშორე და განვიფანტე. თუ ადამიანსა ჰსურს ბედნიერი იყოს, ბედნიერადა სთვლიდეს თავსა, მერმისში არ უნდა იცქირებოდეს, მომავალი არ უნდა წარმოიდგინოს ოცნებით, — უნდა შეიმწყვდიოს და შეიზღუდოს სული და გული აწმყოში. აი, სწორედ ასეთი იყო წესი დონ კარლოსისა, აწმყოთი კმაყოფილდებოდა და ჭკვიანი კაციც იყო, თუმცა სიყვარულმა გაიტაცა, თავისი ხნიერება დაავიწყებინა და მოჰხიბლა ისე, რომ ფეხთ ქვეშ მიწის-ძერასაც-კი ველარა ჰგრძნობდა.

ორიზავეს მკვიდრნი თავიანთის ცოცხალის და მახვილის გონებით ანდალუზელებს მოაგონებენ ადამიანს და საფიქრებელიც არის, რომ იმათს მამა-პაპათა რიცხვში არა ერთი ანდალუზელი უნდა რეულიყოს. იმ ამბავმა, რომ დონ კარლოსი და ანტონია სოლიარი დაქორწინებას, შეუღლებას აპირებენო, მთელს ქალაქში დიდი ალიაქოთი ასტეხა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ხალხი წაახუმრა და მახვილი სიტყვები წამოათქმევინა, რისიც მოლოდინი ყველას უნდა ჰქონოდა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ საქმრო-საცოლო ისე უყვარდათ ყველას და, განსაკუთრებით, ისეთს პატივსა სცემდნენ, რომ ამ გვარს ხუმრობასა და მითქმა-მოთქმაში ბოროტი და შეურაცხსაყოფელი არა იყო-რა.

რაღა თქმა უნდა, რომ ხუმრობით განსაკუთრებით ყმაწვილ-კაცობა ჰხუმრობდა, ის ყმაწვილ-კაცობა, რომელთა ყურადღებას უფრო ანტონიას სილამაზე და მშვენიერება იქცევდა, ვიდრე დონ კარლოსის აცუნცრუკავება და გაახალგაზდავება. ხნიერნი და მხცოვანნი-კი, როგორც დავრწმუნდი ქორწინების დღეს, ჩემ სავით იმ აზრისანი იყვნენ, რომ ახლად დაქორწინებულთა მომავალი, მერმისი საფიქრებელი და საზრუნველია.

— საწყალი, თითონაც არ იცის, რას სჩადისო, — მითხრა ერთმა ჩემს ახლო მდგომმა ჯვარ-წერის დროს. — ღმერთმა დაიფაროს და აშოროს ყოველსავე ხიფათს! რაც შეეხება დონ კარლოსს, რომელსაც თავისი ხანი დავიწყებია, იგი დროს გასატარებელს, შექცევარს ეძებს და საბრალო ქალს-კი ცხოვრების მორევში აგდებს, თითქოს არ იცოდეს, რომ შეიძლება ეს ცხოვრების მორევი აღელდეს და შთანთქას შეუბრალებლად, შეუწყალებლად.

— ანტონია მეტად პატიოსანი და კეთილშობილი ქალია-მეთქი, — ვუპასუხე საჩქაროდ.

— მერე ეჭვი ვისა აქვს, ექიმო? რასაკვირველია, მე არა. მე მხოლოდ იმას მოვახსენებთ, რომ ყმაწვილი ქალები დედაკაცებად შეიქმნებიან ხოლმე და რომ დედაკაცებს, მერე ეგრე ლამაზებს, ცხოვრებაში წინ ბევრი საცდუნებელი შეეფეთებათ, იმაზედ უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ, ცოდვის შვილებსა. ჩვენთა მამა-პაპათ კარგად იცოდნენ ეს გარემოება და ამიტომ ყოველსავე ღონეს ილონებდნენ ხოლმე და თავდარიგიანად იქცეოდნენ ამისთანა ხიფათის თავიდგან ასაცდენად და ასაცილებლად... თორემ რითი აიხსნება, მაგალითებრ, ის გარემოება, რომ ყველა ძველს შენობებს, რომელიც-კი მამა-პაპათაგან გვრგებია და დაგვრჩენია, ფანჯრებზე რკინის ბადეები აქვს გაკეთებული?

მე ხმა არ გავეცი, რადგან ჩვენი ბაასი ძალიან შორს წავიდოდა, ხმა რომ გამეცა, და პატარძალს დავუწყე ყურება. რა ლამაზი იყო! ვუყურებდი და ვსტკბებოდი ამ ყურებით... ვგონებ იმის ჭკუასა და გონიერობაზედ არა გითხარით-რა. ანტონია, ეჭვი არ არის, ჭკვიანი ქალი იყო, გულ-მართალი და გულ-წრფელი, ხოლო, ისპანიის ჩვეულებისამებრ, ყველა მექსიკანელ ქალებსავით, სულ არა ჰქონდა განათლება მიღებული. იმან ზეპირად იცოდა ქრისტიანობრივის ზნეობის წესი და რიგი. იქნება ეს საკმარისიც იყო იმისთვის, რომ ადამიანმა უშფოთველად და უნაღვლელად განვლოს ცხოვრების გზა?.. ამ ფიქრებში ვიყავი, როცა სახლში ვბრუნდებოდი, და მიხაროდა ჩემის ძველის მეგობრის ყმაწვილ-კაცური ბედნიერება, თუმცა არ შევნატროდი-კი, არ მეხარბებოდა იმისი ხვედრი.

II

„არა არს შეწყნარებულ წინასწარმეტყველი სოფელსა შინა თვისსა და სახლსა შინა თვისსა“, — არამც თუ სახლსა შინა თვისსა, მე მგონია, რომ სახლს გარეთაც, სხვაგანაც. ორმა წელიწადმა გაირბინა მას შემდეგ, რაც ჩემმა მეგობარმა დონ კარლოსმა ჯვარი დაიწერა, და ბედნიერი ქმარიც იყო, შვილი, ძე რომ მისცემოდათ. შვილის მიცემა ღირსეულს ცოლ-ქმარს ძალიან გაახარებდა და ასიამოვნებდა. მეც, ჩემის მხრივ, დიდადა მსურდა, რომ შვილი ჰყოლოდათ, ჩემი მომავალი ნათლული.

დონა ანტონია, რომელიც წინად საზოგადოებაში თავს არა ჰყოფდა, — დედის სიღარიბე მორთვისა და ძვირფასად ჩაცმა-დახურვის ნებას არ აძლევდა, — ეხლა ორიზავეს ყველა ბა-

ბით გასინჯეს ფურნეები. სპარსეთის ქვეშევრდომ სიმონ-ანტონ-კოსე-ოღლის ფურნეში იპოვნეს სახმარებლად უვარგისად გამომცხვარი პური 3 ფუთ და 10 გირვანქამდე, რომელიც მაშინვე გადააყრევინეს.

** კვირას, 12 ივნისს, სალამოს 9 საათზე, მუშტაიდის ბაღის კარებს ახლოს, ბ-ნს ჩართიანცს ამოაცალეს ოქროს საათი, 50 მან. ღირებული. დამნაშავე ტფილისის მოქალაქე პ. ე. ივანოვი დაპატიმრებულია.

** კვირას, 12 ივნისს, შუაღამისას, მიხეილის ქუჩაზე თავს დაეცა ოთხი უცნობი კაცი სოფ. პატარა ლილოს მცხოვრებელს ივანე კილასაშვილს და ვერცხლის ქამარი წაართვეს. ერთი მძარცველთაგანი, ბაბანაშოვი, იმ ღამესვე დააპატიმრა პოლიციამ.

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიაში ზოგი შიშობს, რომ ახალგაზდა იმპერატორმა არა ინებოს-რა ისეთი, რაც სასურველი არ არისო, არ გაიტაცოს მეტის-მეტად დიდებისა და სახელის მოხვეჭის სურვილმა საომარს ველზედაო. ამიტომ ასეთნი კაცნი ცდილობენ გააფრთხილონ თავიანთი იმპერატორი და ასე ამბობენ: „იმისი პაპა და მამა გულ-წრფელნი მომხრენი იყვნენ მშვიდობიანობისა. მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმალი ქარქაშიდამ, როცა იძულებული შეიქმნენ გარემოებითა. ახალი იმპერატორი ქებასა და დიდებას დაიმსახურებს, უკეთუ თავის მალ-ღონეს იმაზე მოიხმარებს, რომ დაიცვას ერთიანობა გერმანიისა და მისცეს უკვე გაერთიანებულს ქვეყანას მშვიდობა და ღონე წარმატებისა. თუ ამისთანა სახელს დაუწყებს ძებნას, უნდა დარწმუნებული ბძანდებოდეს, რომ უეჭველად დაიმსახურებს გერმანიის ერის სიყვარულსაო“.

— იშვიათის გაბედულობით და გულახდილობით განმარტავს გაზეთი „Frankfurter Zeitung“-ი პრუსიის ტახტზე ასვლის მნიშვნელობას. მოხუცის ნაცვლად, ნაცვლად დაბრძენებულის კაცისა, ადის ტახტზე ჭაბუკი და ახალგაზდა. ისტორია იშვიათად მოსწრებია, რომ ასე სწრაფად სცვლიდეს ერთი თაობა მეორესა. ახალი იმპერატორი სრულიად იმ პირობათა შორის არ აღიზარდა, რომელშიაც დაბრძენდა ჭკუა-გონება იმისის მამისა. ვილჰელმ მე-II ნაყოფია იმ დროებისა, რომელიც ეძებს, მაგრამ ჯერ-კი ვერ უპოვნია თავისი დანიშნულება. როცა იგი ყმაწვილი იყო, მაშინ გერმანია სთვრებოდა თავისის სამხედრო დიდებითა, თაყვანსა სცემდა ძლევა-მოსილობას, რომელიც ბედნიერებას არ მიანიჭებს-კი გერმანიას, ხეირს არ დააყრის ამ ქვეყანას... ესლა რომ ნაყოფიერი ბრძოლაა დასთა შორის დედააზრთა გამო, ახალს თაობას ჰგონია, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ წვრილმანის ანგარიშების გამოაო; იმისი თვალი დიდხანს უცქეროდა მზესა და სამხედრო დიდებას, რომელსაც ისე მოუჭრია, რომ ვეღარც ჰხედავს და ვეღარც აფასებს ეს ახალი თაობა დიდსა და მაღალს სამოქალაქო სათნოებას. ახალს თაობას ასწავლიდნენ, რომ ისტორიას ჰქმნიან გენიოსები და დიდი კაცებიო და რომ ქვეყანა იმაზე უკეთესს არას იზამს, ხელი აიღოს თავისს ნებასა და სურვილზედ და თავისი ბედი თითოეულს მესვეურებს ჩააბაროსო. იმპერატორი ფრიდრიხი-კი სხვა დროს აღიზარდა. იმან თავის თვალით ჰნახა, როგორ გაჩნდა და დაიბადა კონსტიტუცია სხვა-და-სხვა ქვეყანაში, იმან ნახა, რომ ისინი, ვინც პრუსიას უბედურებას უქადიდა რეფორმებისაგან, ცრუ-წინასწარმეტყველები გამოდგნენ, იმან ჰნახა კიდევ, როგორ შეებრძოლა ერთმანეთს სამეფო ტახტი და ერი. ამან ყოველმან ასწავლა იმპერატორს ფრიდრიხს პატივისცემა ქვეყნის თავისუფალ დაწესებულებათა. ფუჭად არ ჩაიარა იმისთვის აგრეთვე სხვა გვარმა მოძღვრებამ ისტორიისამ, რომელიც ამბობს, რომ სამხედრო ძლევა-მოსილება სამეფო ბედნიერება არ არის დიდის სახელმწიფოსათვისაო.

— მოვიყვანთ ზოგიერთ უცხო ქვეყნების გაზეთის აზრსაც: გაზ. „Fremdenblatt“-ი ამბობს, რომ ახალი იმპერატორი გერმანიისა ისეთივე მოკავშირე იქმნება ავსტრი-ვენგრიისა, როგორც იყო იმისი პაპა და მამაო. „Presse“-ი ამბობს, რომ თუ მართალია საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, ვითომ ახალგაზდა მონარქს დიდი ნდობა აქვს თავადის ბისმარკისაო, ყველა კეთილი მოსურნე გერმანიისა და ყველა მოკეთე იმისა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დამშვიდებით შეუძლიან ელოდდეს ხვალინდელს დღესაო.

— თითქმის ყველა გაზეთი გერმანიისა დასთა განურჩევლად ქებით იხსენიებს მიცვალებულს იმპერატორს. სოციალისტების გაზეთი „Yolks zeitung“-ი ამბობს: ისტორიაში სამუდამოდ დარჩება წმინდა და ნათელი სახე მიცვალებულისა. სამარეში ჩადის მხოლოდ ის, რაც სასიკვდილოა, ერის გულში-კი კვლავ იცოცხლებს კეთილშობილი და მაღალი სული ფრიდრიხისაო. კათოლიკეთა ჟურნალ-გაზეთობა უწოდებს ფრიდრიხს თავისუფლების დამცველსა, სარწმუნოებათა პატივის მცემელს, მართლის მოყვარესა და მშვიდობის მფარველსა. პოლშელნი გერმანიისანი ამბობენ, რომ ფრიდრიხთან ერთად ვმარხავთ ჩვენ იმ იმედსაც, რომ ჩვენი მდგომარეობა ოდესმე განკარგდესო. „Freisinige Zeitung“-ი ამბობს: „არას დროს ჯერ მონარხი ისე ახლო არა მდგარა თავის ერთან, როგორც ფრიდრიხი იდგა; არას დროს ჯერ ამ ქვეყნიური მბრძანებელი ისე არ შეუყვარებია ერს, ისე არ გაუღმერთებია, როგორც ფრიდრიხი მე-III შეიყვარა და გააღმერთაო. გერმანიის ლიბერალობა ძალიან დაფიქრებულია თურმე: ახალ იმპერატორთან ერთადაო, — ამბობენ ლიბერალები, — ქვეყნის მართვას დაიწყებს ის თაობა, რომელმაც მხოლოდ გაგონებით თუ იცის, რა იყო Drang und Sturmpetiode, რომელიც იმპერიის შექმნის წინად არსებობდა. ამ თაობას შეეძლო ენახა მხოლოდ ის, რაც შეიქმნა ძალითა და მხნეობითა... რასაკვირველია, პირ-მოთნე ახლა ბევრი აღმოჩნდება და იმპერატორს უფრო საგმირო საქმეებს ჩააგონებენ, ვიდრე კარგად მოფიქრებულსა. ზოგიერთი დასი უთუოდ გაებამს იმპერატორს თავის ბადეში. ჩვენ არ შევშინდებით და ვიტყვით, რომ მოლოდინი ჩვენს მოწინააღმდეგეებსა იმდენად შეუსრულდებათ, რამდენადაც უნდათ, მაგრამ ჩვენც-კი არ დავდებთ ფარ-ხმალს უბრძოლველად. ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენთა სარწმენთათვის, თუმცა არც ჩვენს მოვალეობას დავივიწყებთ მონარხის მიმართ, მაგრამ ამასთანავე იოტის ტოლსაც არ ავიღებთ ხელს იმაზედ, რაც მართალ და ერისათვის სასარგებლო საქმედ მიგვაჩნიაო“.

## წვრილი ამბები

რას არ აგროვებენ სხვა-და-სხვა კოლექციების მოყვარენი! აგროვებენ ძველს ფულებს, ფოსტის მარკებს, ძველს იარაღს, ავტოგრაფებს და ვინ იცის, კიდევ რას. ეს ისეთი ძველი ამბავია, რომ კოლექციის შემკრებელნი ცდილობენ რაც შეიძლება სულ ახალის ნივთების კრება და მოგროვება დაიწყონ. მაგალითებრ, ერთი ამერიკელი ჰკრეფს ლუდის ბოთლის საცობებს, ასანთლის თავებს ყველა დროისა და ჟამისას, ქვეყნისა და ერისას. საფრანგეთის შეძლებული და მდიდარი კაცი კალიე ჰკრეფს თურმე კოლექციას ყმაწვილთა ტიკინებისა და თოჯებისას. ერთი დაახლოვებული გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხისა და მის მიერ პატივცემული, გენერალი მიშკე, აგროვებს ჯარის-კაცების ფოლაქებს, ღილებს ყველა დროისა და ჟამისას. პეტერბურგშიაც ბევრნი არიან, რომელნიც ჰკრეფენ სხვა-და-სხვა საათებს, სათამბაქოებს და სხ. ჩვენს ტფილისშიაც-კი მოიპოვებიან უშეღეველი ასირებული კაცები, რომელნიც თავ-გამოდებით ჰკრეფენ ფოსტის ძველს მარკებს და ინახავენ.

ამ ჟამად პეტერბურგში სტუმრობს თავისებური კოლექციის შემკრები ვიღაც ჟორჟ ბეილაკი (Baylak), ერთის მანჩესტერის ფაბრიკის დირექტორი, რომელიც რეცეპტებს აგროვებს თურმე ყველა რითიმე გამოჩენილის ექიმებისას ძველსა და ახალს დროს. თავის კოლექციაში ბეილაკს უკვე რამდენიმე ათასი რეცეპტი აქვს შეკრებილი, რომელთა შორის იპოვება თითქმის ესკულაპისის და ჰიპოკრატის რეცეპტებიც-კი. ამ საქმის უფრო უკეთ შესასრულებლად ყოველ წლივ ბეილაკი აქეთ-იქით დაოგზაურობს და აი, წრეულს რუსეთში წამოსულა. ორის კვირის მოგზაურობის დროს ბეილაკს შეუძენია რამდენიმე ძველი რეცეპტი პოსტნიკოვისა და ვოლკოვისა, პეტრე დიდის დროინდელ ექიმებისა, ანატომის ბიდლოოსი, რომელიც ანატომიას ასწავლიდა მე-XVIII საუკუნეში მოსკოვის საჰოსპიტალო სასწავლებელში, ბარონ ტომას დიმსდელისა, დედოფალ ეკატერინე მე-II ექიმისა, და სხვა „ისტორიული“ რეცეპტები.

დიმსდელის რეცეპტში ბეილაკს მიუცია 200 მან. და ამასთან უთქვამს, რომ „ძალიან იაფიაო“, რადგან სხვა ქვეყნებში ამისთანა რეცეპტებს ერთი-ოთხად და ერთი ხუთად ვყიდულობო.

პეტერბურგში ბეილაკი მოსულა ბერლინიდგან, სადაც დიდის წვალებისა და წამების შემდეგ უშოვნია ერთი დედანი მაკენზის რეცეპტისა, რომლითაც პარიში გამოსავლები წამალი მოუმზადებიათ იმპერატორ ფრიდრიხისათვის სან-რემოში. ეს რეცეპტი თითქმის მთელი ქონება დასჯდომია ბეილაკს და მაინც კიდევ დარწმუნებული არ არის თურმე, რომ რეცეპტი ნამდვილად მაკენზისა იყოს. საქმე იმაში გახლავსთ, რომ იმპერატორ ფრიდრიხის რეცეპტებს ინახავენ სამუდამო საცნობლად და ამიტომ ძალიან ძნელია რომლისამე რეცე-

---

ლებში დედოფალი იყო თავისის უფრო გაფურჩქვნილის სილამაზისა და იმ დიდის სიყვარულის წყალობით, როგორც უყვარდათ ყველგან იმისი ქმარი. მე ღიმილით ვიგონებდი ხოლმე იმ დროს, როცა ამ ცოლ-ქმრის შეკავშირება მაშინებდა და ხორულოში მომხდარი უბედურება მიდგა თვალ-წინ, ღიმილით, რადგან ახალგაზდა ქალი მეტად თავ-დაჭერილად და დარბაისლად იქცეოდა. მე მაშინ იმასა ვშიშობდი, რომ ვაი თუ ანტონიას გულმა შემდეგში სიყვარული იგრძნოს-მეთქი, ხოლო, როგორც შევატყე, სიყვარული უკვე ეგრძნო, რადგან თავისს ქმარს დიდის ალერსით ექცეოდა და სულ აინთებოდა ხოლმე, თუ დაინახავდა, რომ იმისი ქმარი სხვა რომელსამე ქალთან ტკბილს ლაპარაკსა და ბაასში იყო გართული. წვეულებებსა და მეჯლისებზე, როცა ცეკვასა და თამაშობაში იყო გაყოლილი, ქმარს თვალს არ აშორებდა და, გაათავებდა თუ არა თამაშობას, იმასთან მისვლას იჩქაროდა ხოლმე. ანტონიას თითქოს სხვა აღარა სურდა-რა იმის მეტი, რასაც იმისი ქმარი იყო მოწადინებული; იმის მეტი არა აწუხებდა-რა, რომ თავისს ქმარს მოსწონებოდა. ვგონებ ხალხშიაც და საზოგადოებაშიაც იმიტომ გამოდიოდა, რომ ქმრისთვის ესიამოვნებინა და ეამებინა. ასე იყო თუ ისე, თუ მაინცა და მაინც დონ კარლოსი ცოლს ჭეშმარიტის სიყვარულით არ უყვარდა, ის-კი მართალი იყო, რომ მეგობარზედ მეტად მოსწონდა და მეტად მიაჩნდა.

თუმცა ჩემთვის მეტად სამძიმოა ამისი თქმა, მაინც უნდა ვაღიარო, რომ ის ზნე, რომლის გამოც ევროპაში ხშირად დედაკაცი ძირს ეცემა ხოლმე, ისეთივეა მექსიკაშიც, როგორიც ყველგან უნდა იყოს. მექსიკის ზნე და ჩვეულება ამ მხრივ ძალიან წინ ელობება კაცის უბედურებას ცოლ-ქმრობრივს ცხოვრებაში. ორიზავეში, განსაკუთრებით, მეუღლე, მარტო იმიტომ-რომ სხვის ცოლი და საკუთრებაა, წმინდა, ხელ-შეუხებელი უნდა იყოს. ყმაწვილს კაცებს შეუძლიანთ აღტაცებაში მოვიდნენ იმის სილამაზით, უყვარდეთ კიდეც პლატონიურად, თუ ძალიან გულით უნდათ, და სხვა არაფერი. დედაკაცს კაცი პატივსა სცემს იმიტომ, რომ იგია ოჯახობრივის ბედნიერების დარაჯი, მეგობარი იმის დედისა, დისა და ან იმის მეგობრებისა. ახალგაზდა ქალთა და კაცთა შორის გავლებულია ზნეობრივი ღობე, რომელზედაც გადასვლას არავინა ცდილობს და ის ხომ იშვიათია, რომ ზედ გადახტებოდეს ვინმე. აქ მეტი არ იქნება ვსთქვა როგორც ევროპის გასამართლებლად, ისე გასამტყუნებლად და სამდურავის სათქმელად, რომ მექსიკაში ჯვარს ისე არავინ იწერს, თუ არა სიყვარულითა და გულის მოწადინებით. ამიტომაც მაცდუნებელი გველი, რომელმაც ევა დაჰღუპა, ძალიან ძნელად შეიძლებს ახალგაზდათა ოჯახში შესვლას და მაშინაც უკვე დედას შეჰხვდება და არა ცოლს, დედას, რომელსაც შვილის სიყვარული დაიხსნის და დაიფარავს ყოველისავე განსაცდელისაგან, ასე რომ მაცდური გველი უკანვე უნდა დაბრუნდეს პერში ჩალა-გამოვლებული, უარარაოდ. საუბედუროდ, დონ კარლოსისა და დონა ანტონიას საქმე ცოტა სხვა მდგომარეობაში გახლდათ და ამიტომ ჩემი სიფრთხილე და შიში მოჩვენებულად არ მიმაჩნდა. ამ ქორწინებაში სიყვარული მხოლოდ ნახევრად იყო გამეფებული და თუ ახალგაზდა ქალი თავისს ქმარს თავს ევლებოდა და ეშხიანად შეჰყურებდა ხოლმე, ეგ იმას ამტკიცებდა, რომ იმის გულში ჯერ-ჯერობით დაფარული და დამარხული იყო ძლიერი გრძნობა, რომლის გამოც ყოველთვის ხორულოში მომხდარი უბედურება მიდგ ხოლმე თვალ წინ.

დონ კარლოსმა თავისის ქორწინების ორის წლის შესრულება იდღესასწაულა და ნადიმი გადიხადა. როცა ამ წვეულებიდამ დავბრუნდი, ჩემს სტოლზე წერილი იდო ჩვენის ელჩისა მექსიკაში. ელჩი მაცნობებდა, რომ ორიზავეში მოვა ერთი ჩემი ძმისწულიო. ეს ახალგაზდა კაციო, — მწერდა საიდუმლოდ, — უქმად ატარებდა თავისს ცხოვრებას პარიჟში, რის შედეგიც ის იყო, რომ თავისის ქონების უმეტესი ნაწილი გაჰფანტა და თითონაც ავადმყოფობა შეიძინაო. ავადმყოფი ორს თვეს მექსიკაში ყოფილიყო, მაგრამ უფრო და უფრო უარესად დასნეულებულიყო; ორიზავეში ეს ყმაწვილი კაცი ერთს კვირას უნდა დარჩენილიყო და შემდეგ წასულიყო ვერა-კრუსში, ჩემის მეცნიერ ამხანაგის ჟურდანეს რჩევით. ელჩი მთხოვდა, რომ თვალ-ყური ადევნეთ მაგ ყმაწვილს კაცს და შემატყობინეთ თქვენი აზრი მაგის ავადმყოფობაზეო. მე მოვუწონე ავადმყოფს მექსიკიდგან წამოსვლა და როცა ჯეროვანად გავსინჯე და გამოვიკვლიე იმისი სენი, ისეთს უნუგეშო მდგომარეობაში არ მეჩვენა, როგორც იმისი ბიძა მწერდა. ეს ყმაწვილი კაცი ჯერ ერთს კვირასა სცხოვრობდა ორიზავეში, მერე მეორეს, და ბოლოს ისე მოეწონა მშვენიერი მინდვრები ძველის აცტეკების ქალაქისა, რომ აქ დარჩენა მოიწადინა.

მართალი რომ სთქვას კაცმა, მეც ვურჩიე დარჩენა, რადგან დავარწმუნე, რომ შეაზანა ჰავა უფრო გარგებს, ვიდრე მეტის-მეტად ცხარე, პაპანაქება ადგილზე ცხოვრება-მეთქი.

ამ ახალგაზდა კაცის ორიზავეში ყოფნა ჩემთვის დიდად სასიამოვნო და სანატრელი იყო. იგი დაბადებულიყო საფრანგეთში მაშინ, როცა მე იქიდგან წამოვედი, და მას შემდეგ-კი არც ერთს პარიჟელს არ შევხვედრილიყავი. ამიტომაც იმისი აზრები, იმის გამოთქმანი და გემოვნებანი მაკვირვებდა და მაოცებდა. ისიც არა ჰმალავდა თავისს მხრივ და პირდაპირ მეუბნებოდა ხოლმე, რომ იშვიათი, არა-ჩვეულებრივი ადამიანი ხარო. ჩვენ თუმცა ერთის ქვეყნისა და ერთის მიწა-წყლისანი ვიყავით, მაინც იმისი ენა და ლაპარაკი თითქმის ნახევარი მეუცხოებოდა, არ მესმოდა. ამასთან ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი, როცა რობერტ სოვიერი, დონ რობერტო, როგორც მექსიკანელები ეძახდნენ, მიამბობდა ხოლმე პარიჟის გადახალისებას, შეცვლას. ვუგდებდი ყურს და ლაპარაკის კილოზე ვატყობდი, რომ საფრანგეთში ზნეობრივი ცვლილებანი უფრო ძირეული უნდა ყოფილიყო, ვიდრე გარეგანი. ჩემი აზრი და შეხედულობა ადამიანისა, საზოგადოებისა და კაცობრიობის მომავალის ბედის შესახებ ართობდა ჩემს მოსაუბრეს.

— ძველი არაკიაო! — ჩამომართმევდა ხოლმე სიტყვას ყოველს წუთს. — ძველი არაკია, სენორ, ძველი!

საზოგადოდ-კი რომ ვსთქვათ, იმას კიდეც ესმოდა ჩემი ლაპარაკი როგორც იყო, მე-კი ხშირად პირს დავაღებდი ხოლმე და ასე შევსცქეროდი ჩემს ავადმყოფს. ვგრძნობდი, რომ ჩემსა და იმას შუა მთელი ქვეყანა იყო, ესე იგი, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელს საუკუნეს გაევლო. წავიდოდა თუ არა, მაშინვე ჩემს ლექსიკონსა ვტაცებდი ხოლმე ხელსა, რომ იმის მიერ ნახმარი საოცარი სიტყვები შემეტყო, ან გამეგო ის აზრი, რა აზრითაც იგი წარმოსთქვამდა ზოგიერთს ჩემთვის, მგონი, გაუგებ სიტყვებსა. უმეტეს ნაწილად ლექსიკონი არც ერთს საკითხავზე პასუხს არ მაძლევდა ხოლმე, თუმცა ეს წიგნი აკადემიური ლექსიკონი იყო, 1835 წელს გამოცემული.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

პტის ხელში ჩავდება. თუ როგორ იშოვნა ეს რეცეპტი მოხერხებულმა ინგლისელმა, შუამავლად ვინა ჰყვანდა და ან რამდენი ფული დაჰხარჯა იმის შოვნაზედ, ამას საიდუმლოდ ინახავს და არავის უმხელს. ამ საიდუმლოსაო, ამბობს ბეილაკი, მხოლოდ ჩემს ანდერძის წერილში გავამჟღავნებ, როცა ჩემი მვირფასი კოლექცია ბრიტანიის მუზეის გარდაეცემაო.

აქვე უნდა მოვიყვანოთ პატარა შენიშვნა ბ-ნის ბეილაკისა, რომელიც მველის-მველ რეცეპტებსა ჰკრეფს. ბეილაკს გაუსინჯავს ერთს აფთიაქში პეტერბურგის ექიმების რეცეპტები და უთქვამს, რომ მთელს ქვეყნის პირზედ რუსეთის ექიმები განირჩევიან ყველაზედ უმეტესად თავისის დაუდევნელობითა და უთაურობით რეცეპტების წერაშიო.

◆◆

# გასართობი

აწ გარდაცვალებული გერმანიის იმპერატორი ფრიდრიხი ქვეშევრდომთ ძალიან უყვარდათ და ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო თურმე, რომ ყველას ალერსიანად და თავაზიანად ეპყრობოდა, ხშირად ისე ალერსიანად, რომ სწორედ გასაკვირველია. მაგალითებრ, აი ერთი ამისთანა ამბავი, რომელიც დაბეჭდილია „Tägliche Rundschau“-ში. თავისს ახალგაზდობაში მემკვიდრე პრინცს ფრიდრიხს უყვარდა ხოლმე ხშირად უეცრად, უცაბედად და მოულოდნელად მისვლა სასწავლებელში, რომელიც იმის მამულს ფორნშტედტში არსებობდა. როცა ერთხელ ასე მოულოდნელად თავს დაადგა მასწავლებელს, პრინცმა შენიშნა, რომ მასწავლებელი აირია, შეშფოთდა და ცდილობდა დაემალა პრინცისათვის, არ შეემჩნევინებინა როგორმე ეს შეშფოთება. მასწავლებელს სულ რამდენისამე წუთით ადრე მიელო ცნობა, რომ დედაშენი სიკვდილზეა მიგდებული, რაც შეიძლება გამოეჩქარეო, მაგრამ საბრალო კაცი გაკვეთილებს ვერ მოსცდებოდა, თუ წასვლის ნება-როვას არ აიღებდა. მემკვიდრე პრინცმა გაიგო თურმე ეს ამბავი, წარმოიდგინა მასწავლებლის გაჭირებული მდგომარეობა და მეგობრულად, ტკბილად მიუბრუნდა:

— წადით ეხლა დედის სანახავად, პასუხის-მგებელი მე გავხდები და თქვენს ადგილს დროებით მე დავიჭერ. რაც შეიძლება ეჩქარეთ და ღმერთმა ინებოს, რომ ცოცხალი დაგხვდეთ მშობელი. მე მესმის, ძალიან კარგად მესმის, თუ რასა ჰნიშნავს შვილისათვის დედა.

გავიდა თუ არა მასწავლებელი, მემკვიდრე პრინცმა ჩამოიხსნა თურმე ხმალი, დაიჭირა მასწავლებლის ადგილი და განაგრძო გაკვეთილი. როცა კითხვის გაკვეთილი მორჩა, პრინცმა სთქვა თურმე:

— აბა, ეხლა-კი გეოგრაფიის სწავლა დავიწყოთ; მომიტანეთ გლობუსი.

ბავშვები ადრევე იყვნენ თურმე დაჩვეულნი მემკვიდრე პრინცის ალერსსა და თავაზას და, იმის მასწავლებლად ყოფნას არ შეუკრთნენ, ერთ-ხმად უპასუხეს:

— გლობუსი არა გვაქვს; მასწავლებელი ყოველთვის რეზინის ბურთზე გვასწავლის ხოლმე გეოგრაფიას.

ახალმა მასწავლებელმა დაიჭირა თურმე ხელში რეზინის ბურთი და დაუწყო ბავშვებს ქალაქების ახსნა...

როცა რამდენისამე დღის შემდეგ სასწავლებელში ნამდვილი მასწავლებელი მივიდა, დაინახა თურმე ნამდვილი გლობუსი, საჩუქარი იმ კაცისა, რომელმაც იმის მოადგილეობა გასწია და შვილი, მომაკვდავ დედასთან გაისტუმრა. იმ დღეიდგან ფორნშტედტის სასწავლებელში არასოდეს აღარ უხმარნიათ თურმე რეზინის ბურთი გლობუსის მაგივრად.

**

ამას წინად პარიჟში დედათა კლუბი დაარსეს. ეხლა პარიჟში ცნობილს სასაცილო სცენების მწერალს კატრელს დაუწერია „Figaro“-ში პაწია პაროდია ამ დედათა კლუბზედ. კატრელი ამბობს თავისს პარო-[illegible] საც დავაარსოთ იმისთანავე კლუბი, როგორიც დედათა კლუბიაო. ამ ბავშვების კლუბის წესდებაში სხვათა შორის შემდეგი მუხლებია აღნიშნული:

კრებას ეწოდება „კლუბი ბებე“.

ყველა ბავშვი, რომელსაც-კი წევრად ყოფნა ჰსურს, ტკბილეულობისა და სათამაშო ტიკინების გამყიდველმა უნდა წარადგინოს კლუბში.

წევრების კენჭის ყრის დროს კენჭებად უნდა იხმარებოდეს შაქრის ნაჭრები და ან შოკოლადის რგოლები.

თუ არჩევანის დროს კომისიის წევრმა კენჭი შესჭამეს, ანგარიშში ჩასაგდები არ არის.

წევრებად შეუძლიან იყვნენ ყმაწვილები წლოვანებით ერთის კვირიდგან შვიდ წლამდე.

წევრებმა მოწმობა უნდა წარადგინონ, რომ ყვავილი აცრილი აქვსთ.

უკენჭოდ საპატიო წევრებად ამორჩეულ იქმნებიან პრინცები, შვილები გენერალის ბულანჟესი და ლესეპსისა.

პოლიტიკაზედ ბაასი კლუბში წევრებთა შორის აღკრძალულია.

ყოველ წელიწადს უნდა გაიმართოს გამოფენა იმ სურათებისა, რომელიც დახატული იქნება წევრებთა მიერ.

ფულზედ ქაღალდის თამაშობა არ შეიძლება, ლოტოს გარდა, რადგან ლოტოთი ბავშვები რიცხვებს შეისწავლიან.

წევრებისათვის უნდა იყოს გამართული სამუდამო ბუფეტი.

პაწია წევრებისათვის უნდა იყვნენ ძიძები.

კლუბის წევრებთა, რომლებსაც მშობლები სახლში არ წაიყვანენ, შეუძლიანთ დაწვნენ კლუბის ავგნებში.

თუ ვინიცობაა რომელმა წევრმა კლუბში უწმინდურება და უსუფთაობა მოახდინა, ამისთანა წევრი უნდა გამოირიცხოს წევრთა რიცხვიდგან.

◆◆

# დეპეშა

15 ივნისი

**პეტერბურგი.** დასამტკიცებლად თამბაქოს გადასახადის წესდებისა სახელმწიფო რჩევამ დაადგინა: აქციზის მოხელე კაცები მოვალენი არიან ან თვითონ, დაუხმარებლივ, ან მაზრისა და სოფლის მოხელეთა შემწეობით, შეჰკრიბონ საჭირო ცნობანი მასზედ, თუ როგორია ნამდვილი ყოფა თამბაქოს წარმოებისა. აქციზის მოხელეთ მიენიჭოთ უფლება, თავის სურვილისამებრ, გასინჯონ პლანტაციები და თამბაქოს საწყობები, გაზომონ პლანტაციები და შეიტყონ, რა გამოსავალი აქვს და რამდენია თამბაქო.

სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: გაიხსნას ტომსკის უნივერსიტეტში 188⁸/₉ წლის სწავლის დასაწყისს მარტო საექიმო ფაკულტეტი. ფასი სწავლისათვის ნახევარ წლისა 25 მან.

**ხარკოვი.** სამების იარმუკა თავდება. მომეტებული ნაწილი მოტანილ მატყლისა გაიყიდა შარშანდელზე 25% უძვირესად. სამანუფაქტურო საქონელი იყიდებოდა შიგ-ჰრელად.

**პეტერბურგი.** გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა განსაკუთრებულის ყურადღებით ინახულა საგანგებო ელჩი გერმანიის იმპერატორისა, გენერალი პაპე.

დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე თავის მეუღლითურთ გუშინ, უმაღლესის ბრძანებით, წაბძანდა ვარშავის, ვილნოს და მოსკოვის სამხედრო ოლქებში დასათვალიერებლად ზოგიერთა ჯარებისა და ციხეებისა.

გვარდიის კორპუსის კომანდირი პრინცი ოლდენბურგისა გაიგზავნა ვარშავას, რათა ჯარების დათვალიერებაში თან ახლდეს დიდს მთავარს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

შესახებ იმ ხმებისა, რომ უბაჟოდ იქმნას შემოტანილი საზღვრის მადნეულობა ფინლიანდიისა, „Новое Время“ იწერება, რომ ეს ღონისძიება უკვე მიღებულია მხოლოდ შესახებ აღმოსავლეთის ფინლიანდიისა, საიდამაც მადნეულობამ უნდა გაიაროს მარტო შლისელბურგის დამოჭნაზე. ქარხნებმა, რომელთაცა ჰსურთ გამოიყენონ ესეთი შეღავათი მადნეულობის შემოტანისა, უნდა მიჰმართონ ფინანსთა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებს, რომელნიც ამოწმებენ, თუ რამდენი მ დანი დასჭირდება თვითოეულს ქარხანას.

**ლონდონი.** გლადსტონის მომხრე მაროლეიმ რომ შეიტანა წინადადება—საყვედური გამოეცხადოთ სამინისტროს, რადგან სასიხლო ოქმი შევიდა ძალაში ირლანდიის შესახებაო—უარ-ჰყო პალატამ 366 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 273 ხმისა.

**ტომსკი.** დღეს ტომსკის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე ტომსკელ არაყის მხდელთა და გამყიდველთა შესახებ, რომელთაც შეეკრათ პირობა არაყის დაძვირებისა. სასამართლო დარწმუნდა ამ განზრახვის სინამდვილეში და დაადგინა: ქალაქის თავი კოროლევი და ვაჭარნი პასტუხოვი, პეტრე ვიტნოვი, ილია ფუქსმანი და აზნაური პლატონოვი დაპატიმრებულ იქმნენ ექვსის თვით; დანარჩენი მონაწილენი და მათნი ამხანაგნი—ორის თვით; ორი კაცი გამართლებულ იქმნა. საქმე გადაექვა საგუბერნიო სასამართლოში.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 8 82 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 173½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 36 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 274¾ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 248½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 98 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 82½ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

**16 დღე ხუთშაბათი.** წმ. ეპისკ. ტიხონისა. კათოლ. ეპ. ბენონისა. მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 20 დღისაა.

**17 დღე პარასკევი.** წმ. მანუილისა და საბასი. კათოლ. ეპ. ადოლფისა. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—38. მთვარე 21 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . 5 | კაპ. |
| პური 1-ის სარისხისა. | . 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის სარის. | 5 | „ |
| „ „ 2 — | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ყვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის სარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 სარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის სარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამსონიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოებას სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Доз. ценз. Тифлисъ, 15-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტ. [illegible]. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე